საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბაბუხადია ვასილ დიმიტრის ძე

ბაბუხადია ვასილ დიმიტრის ძე (1. IX. 1913, ტყიბული, –19.VIII. 1997, თბილისი), ქირურგ-ურولოგი, მედ. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1972), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1978). საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1994). საქართვ. სამეც.-ბიოლ. მეცნ. აკად. წევრი (1995).

1938 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი. 1946–71 მუშაობდა თსსი-ის პედიატრიული ფაკ-ტის ზოგადი ქირურგ. კათედრაზე, 1971 – 73 იმავე კათედრის პროფესორი იყო, ხოლო 1973–1996 იყო ურولოგიის კათედრის გამგე. ბ. შეისწავლიდა თირკმლის პარენქიმის რეგენერაციას ჰიდრონეფროზის პირობებში, შარდ-კენჭოვან დაავადებას, საშარდე გზების ინფექციას, წინამდებარე ჯირკვლის ადენომას. იკვლევდა საექიმო ეთიკისა და დეონტოლოგიის საკითხებს.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენი.

თხზ.: კლინიკური ურولოგია, თბ., 1977; ამბულატორიული ურولოგია, თბ., 1980; ურولოგია, თბ., 1985; ექიმის ფიცი და საექიმო ეთიკის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1987; Основы обратимости гидронефротического процесса, Тб., 1969.